

967870



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№495 2017 წლის 14 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისის ხეობის სოფლების: ქორეთის, ბაყილოვანის, საკობიანოს, კუწახტას, წინუბნის, ყვარელწყლის, დუისის, ქვემო ხალაწნის, შუა ხალაწნის, ზემო ხალაწნის, დედისფერულის, დუმასტურის, ჯოყოლოს, ომალოს, ბირკიანისა და ძიბახევის სტაბილური და უსაფრთხო ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად, 10/04 კვ ძაბვის ელექტროგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციისა და „ხადორჰესიდან“ სოფელ ძიბახევამდე ახალი 10 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გამოუყოს 580 000 (ხუთას ოთხმოცი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს მთავრობის ბანკარგულება

№306 2017 წლის 23 თებერვალი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის
საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი
ღონისძიების შესახებ

1. ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 2 378 800 (ორი მილიონ სამას სამოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი, მათ შორის:

ა) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გამოუყოს 2 233 200 (ორი მილიონ ორას ოცდაცამეტი ათას ორასი) ლარი;

ბ) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 145 600 (ას ორმოცდახუთი ათას ექვსასი) ლარი, კერძოდ:

ბ.ა) ქარელის მუნიციპალიტეტს - 67 400 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარი;

ბ.ბ) ონის მუნიციპალიტეტს - 28 400 (ოცდარვა ათას ოთხასი) ლარი;

ბ.გ) გორის მუნიციპალიტეტს - 24 800 (ოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარი;

ბ.დ) კასპის მუნიციპალიტეტს - 16 400 (თექვსმეტი ათას ოთხასი) ლარი;

ბ.ე) საჩხერის მუნიციპალიტეტს - 8 600 (რვა ათას ექვსასი) ლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი